MES 0 22 0000351822

05/04/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.03.22
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
6. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
9. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

10. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
14. **ერეკლე ასტახიშვილი -**შპს - „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გნერალური დირექტორის მოადგილე;
15. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ქეთი ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2	**ნინო შიოშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	**დავით მახვილაძე**	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	**ხათუნა მხეიძე**		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	I
3	**გიორგი ქვარცხავა**		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების	I

			ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	
4	ნინო ლომიძე		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
5	აკაკი გუნცაძე		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი.	I
6	იოსებ სარჯველაძე		აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	I
7	ვასილღლიღვაშვილი		„მეცხოველეობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
8	მარიამ ხატიაშვილი		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	I
9	შალვა ჭკადუა	სსიპ- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III, IV
10	ნინო მოდებაძე		საგანმანათლებლო პროგრამების კორდინატორი	II, III, IV
11	ია ჯიმშიტაშვილი		სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III, IV
12	მაია გონაშვილი		გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III, IV
13	ლალი ჩაგელიშვილი		გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის	II, III, IV

			და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	
14	**ნანა რინკიაშვილი**		სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი, გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის, ეკონომიკის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი	**II, III, IV**
15	**რუსუდან დალაქიშვილი**		ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**II, III, IV**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	თამარ სანიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო მილაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
4	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენი განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· კი

შუამდგომლობა დააყენა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, თამთა მოხევიშვილმა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის №1432677 **შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე** გადაწყვეტილებაში, ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის №1432677 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენი განხილვა.

1. პირველი საკითხი - შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის №1432677 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის №1432677 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდა ტექნიკური ხარვეზი **შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 დეკემბრის №1432677 გადაწყვეტილებაში.

2. მეორე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 5 მარტის №56 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი N17, მე- 11 კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე შაკიაშვილი
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამამ „მეცხოველეობა“ მიიღო 7 წლიანი აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 2019 წლის 5 მარტის №56 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის საჭოს მიერ გაცეული რეკომენდაციების შესახებ უსდ-ს მიერ ანგარიშის წარმოსადგენი ვადა განისაზღვრა 6 თვე (2019.08.25). აკრედიტაცია მინიჭებულია 7 წლით 25.02.2026 წლამდე.
მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამა დამტკიცებული იქნა 2014 წელს. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი). პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (60 ECTS). 2021 წლის 26 თებერვლის სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიის საბჭოს დადგენილებით საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი განისაზღვრა არაუმეტეს 60 კრედიტით. რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად უსდ-ს განესაზღვრა 6 თვე. რეკომენდაციების და რჩევების შესრულების მიზნით უსდ-მ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 9 წევრისგან. მათ მიერ მომზადდა თვითშეფასების ანგარიში და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულებული ანგარიში.
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი.
ბრძანების შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტის გარეშე მოახდინა

მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა/შესწავლა და შეფასება. ასევე გაცნობილ იქნა ყველა გაზიარებული დანართი/დოკუმენტი, რაც იყო მოწოდებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან. შეფასების პროცესში გამოიკვეთა უსდ-ს მხრიდან დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის საჭიროება, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განცხადებით მიმართა ცენტრს. მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე გამოიკვეთა ცდომილებები რეკომენდაციებს შორის სწორი ფორმულირების მიმართულებით და შესაბამისობით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესავალ ნაწილში ამოსულ რეკომენდაციებსა და ქვეკომპონენტებში ასახულ რეკომენდაციებს შორის. ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა დასკვნის პროექტი, რომლის პასუხადაც უსდ-მ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით არგუმენტირებული პოზიცია წარადგინა, რისი გაცნობის შემდეგაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა და არ გაიზიარა უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასებებში ჩანდეს რა მეთოდებითა და კრიტერიუმებით ფასდება პრაქტიკული უნარები.
2. სამიზნე ნიშნულების ცხრილი გაიწეროს სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების შესაბამისად და მოვიდეს სრულყოფაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ რჩევების ნაწილი, თავისი სიმძიმიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა განსაზღვრული ყოფილიყო რეკომენდაციების სახით. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა, თუ რა სახის ღონისძიებებს ატარებს ინსტიტუცია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით?
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა აღნიშნა ,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკისა“ და ,,სწავლების მეთოდების“ სასწავლო კურსები და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, შეიცვალა თუ არა რამე მოცემულ საგნებთან მიმართებით? გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსები არაერთი რეკომენდაციის საგანი იყო, საბჭოს წევრმა დააზუსტა, განხორციელდა თუ არა ექსპერტთა მიერ დოკუმენტების დადარება და ცვლილებების დინამიკის შეფასება?

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა პლაგიატის საკითხი და დააზუსტა, თუ რამდენად რეალურად არის დასაშვები მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში 50% დამთხვევის დაშვება?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იყო საკამოდ დიდი გაუგებრობა რჩევებსა და რეკომენდაციებს შორის. ექსპერტების მიერ არის დაფიქსირებული გარკვეული ცდომილებები აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის (2019 წლის 10-11 იანვარი) შესავალ ნაწილში ასახულ რეკომენდაციებსა და უშუალოდ სტანდარტების ქვეკომპონენტებში ჩაშლილ რეკომენდაციებს შორის, რაც იწვევს გარკვეულ აცდენებს უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულებაზე. აღნიშნული უზუსტობები არსებობდა მონიტორინგის ვიზიტამდე, რამაც ექსპერტების გაურკვევლობა გამოიწვია იმასთან დაკავშრებით თუ რითი უნდა ეხელმძღვანელათ მონიტორინგის პროცესში. დაწესებულებას რეაგირება აქვს გაკეთებული არა კომპონენტებში ჩაშლილ რეკომენდაციებზე, არამედ დასაწყისში მოცემულზე, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ცალკეულ კომპონენტებში განსაზღვრული რეკომენდაციები მეტად ასახავს რეალობას და აქვს უფრო დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა. არსებული უზუსტობები უქმნიდა ექპერტებს დაბრკოლებას, გაეგოთ თუ რა იყო განსაზღვრული რჩევის და რა რეკომენდაციის სახით. ექსპერტთა ჯგუფმა შეფასებისას გაითვალისწინა, რომ მოცემულმა პროგრამამ მიიღო შვიდ წლიანი აკრედიტაცია და არა პირობითი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ პროგრამის განხორციელების დინამიკაში არის დადებითი მაჩვენებლები, თუმცა გაცემული რეკომენდაციები საკმაოდ მნიშვნელოვანია.
ექსპერტმა პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 50% პროცენტიანი დამთხვევა სრულიად მიუღებელია და აჩენს გარკვეულ შეკითხვებს, თუმცა აღნიშნული გაცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე. მონიტორინგის ფარგლებში არ შეფასებულა.
საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ ისაუბრა მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაიშვება მაგისტრის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში მოცემულია სასწავლო კურსები, რომლებსაც არ აქვთ წინაპირობა. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა დააზუსტა, შეუძლია თუ არა ნებისმიერი მიმართულების მაგისტრს მოცემული პროგრამის დაძლევა?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსებში ,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და ,,სწავლების მეთოდები“ განხორციელდა რიგი ცვლილები, რის შედეგადაც აღმოიფხვრა, მანამდე არსებული პრობლემები. თუმცა მოცემული ცვლილებები არ ასახულა განაცხადში, ვინაიდან დოკუმენტები წარდგენილი იქნა უფრო ადრე. რაც შეეხება პლაგიატის საკითხს, საუბარია არა 50% პროცენტიან დამთხვევაზე, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო წესზე ანტიპლაგიატთან მიმართებით, სადაც 50% ხუთსიტყვიან წინადადებების თანხვედრას უკავშირდება, ხოლო 25 სიტყვიან თანხვედრათა მიმართებაში დადგენილია 5%.
ჩარიცხვის წინაპირობებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უცხო ენასთან ერთად, აპლიკანტი ვალდებულია წარადგინოს კვლევითი პროექტი, რითაც გასაუბრების საფუძველზე აპლიკანტმა უნდა დაამტკიცოს რომ სამომავლოდ შეძლებს სასწავლო კომპონენტის დაძლევას.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა განსაზღვრული რეკომენდაციები შესრულებულია და ისაუბრა მონიტორინგის დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ცხოველთა და ფრინველთა

მომშენებლობის“ და „ცხოველთა და ფრინველთა რაციონალური კვების“ სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შეფასებებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სწავლების მესამე საფეხურის კურსის მიზნის და სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნულ სასწავლო კურსებში დოქტორანტთა შეფასება ხორციელდება მთელი სემესტრის განმავლობაში საშინაო დავალებების და ტესტირების საშუალებით, რაც სილაბუსებში მკაფიოდ არის მითითებული, კერძოდ, სემესტრის განმავლობაში საშინაო დავალება მიეცემათ 4-ჯერ და თითოეული დავალება ფასდება 5 ქულით. საშინაო დავალება სტუდენტს მიეცემა როგორც გავლილი მასალის საკითხთა გაანალიზებული შეჯამება და საკითხთა განმარტება; ამასთან, ტესტირება დახურული კითხვებით ტარდება 10-ჯერ. თითოეული საკითხი ფასდება არაუმეტეს 1 ქულით. ტესტირება მოიცავს კონკრეტული პრაქტიკული მეცადინეობის საკითხების 3 სავარაუდო პასუხს; შეფასება ხორციელდება ასევე შუა სემესტრული და დასკვნითი გამოცდების სახით, რომელთა შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსის პროგრამებში.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეცხოველეობა“ ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის მეხუთე დანართში წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია და შედეგები. არაპირდაპირი შეფასებისას ჩატარებულია და გამოყენებულია დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა. სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია სტუდენტების წერითი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი და დისერტაციის დასრულების და დაცვისას მიღებული შეფასებები. სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, მასალები, მტკიცებულებები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა. დადარებულია სამიზნე ნიშნულთან, განსაზღვრულია მისი კრიტერიუმი და სწავლის შედეგების შეფასების ვადები და მდგომარეობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები შესაბამისობაშია სამიზნე ნიშნულებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტთა მიღების პროცესში ყველაზე რთული ეტაპი არის გასაუბრება. ინსტიტუცია დარგის სპეციალისტების უმრავლესობას უარს ეუბნება, ვინაიდან მათ არ აქვთ კონკრეტული ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ და როგორ უნდა ისწავლონ სადოქტორო საფეხურზე. ის სამი სტუდენტი, რომელიც პროგრამაზე სწავლობენ, არიან დარგის სპეციალისტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი განათლება მიღებული როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მოცემული პროგრამის დაძლევა.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, დაწესებულებას აქვს სამი ორდიპლომიანი პროგრამა საფრანგეთისა და იტალიის უნივერსიტეტებთან. ასევე პროგრამა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ერსმუს-ის გაცვლითი პროგრამების რაოდენობებით. ამასთან, ინსტიტუცია ახორციელებს ერთობლივ კვლევებს თითქმის ყველა მიმართულებით. დოქტორანტებსა და პედაგოგებს მუდმივად აქვთ შესაძლებლობა იმისა, რომ თავიანთი კვლევების ნაწილი განახორციელონ უცხოურ ლაბორატორიებში.

საბჭოს წევრმა დავით ტეფნაძემ დააზუსტა დოქტორანტთა რაოდენობა პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ 2014 წლიდან დღემდე მხოლოდ ერთმა დოქტორატმა დაიცვა დისერტაცია, ერთმა შეიჩერა სტატუსი, ხოლო სამი ამჟამად სწავლობს პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად უზრუნველყოფს პროგრამა თავისი ბიუჯეტით ფინანსურ მდგრადობას?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის პრიორიტეტი არის კონკრეტული დარგები. რამდენიმე დარგი არის მოცემული რომელიც მხოლოდ საქართველოს

ტექნიკურ უნივერსიტეტში არის წარმოდგენილი, აქედან გამომდინარე, მიმდინარეობები პრიორიტეტულია და მათ ხმარდება ფაკულტეტზე არსებული ყველა საშუალება შესაძლებლობის ფარგლებში.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამას თან ახლავს მონაცემები აკადემიური პერსონალის შესახებ და ძალიან კარგია, რომ დასტურდება ლექტორების კომპეტენცია, წაიყვანონ კონკრეტული საგნები, თუმცა ჩამონათვალში მეტია ის პერსონალი, რომლებიც უძღვებიან არასპეციალობის საგნებს. ამას გარდა, მან აღნიშნა, რომ პუბლიკაციები ძირითადად გამოქვეყნებულია ქართულენოვან ჟურნალებში და დაინტერესდა, რა შეიძლება ითქვას უცხოურ ჟურნალებში პუბლიკაციების შესახებ. აბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, რით იყო გამოწვეული დარგის ძირითადი სახელმძღვანელოს გამოქვეყნება ახლო წარსულში რუსულ ენაზე?
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ძირითადი გამოცემები არის ქართულ ენაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ ასევე უცხოური გამოცემები, რაც სამწუხაროდ ვერ მოხვდა აკრედიტაციის საბჭოსთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში. თუმცა დაწესებულება აქტიურად აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. ან ასევე აღნიშნა, რომ რუსულ ენაზე სახელმზღვანელოს გამოცემა განპირობებული იყო იმით, რომ რაიონებში, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში, ჯერ კიდევ ბევრი მოიხმარს რუსულ ენას და ეს გამოცემა ემსახურება მათ ინტერესს მეცხოველეობის მიმართ.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა ,,სამეცნიერო კვლევის მეთოდებში“ ლაბორატორიასთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევა, რომელთან დაკავშირებითაც დაწესებულება ამბობს, რომ სტუდენტი უნდა მოვიდეს მომზადებული. გამომდინარე აქედან საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ აქვს მოცემულ პროგრამას განსაზღვრული წინაპირობა, რომელიც აღნიშნულს დაარეგულირებს?
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუ სტუდენტმა არ იცის კვლევის მეთოდები, ლაბორატორიის განსაზღვრა მას ვერაფერს ახალს ვერ მისცემს, განსაკუთრებით კი დოქტორანტურის საფეხურზე. შეიძლება დოქტორატმა რომელიმე მეთოდიკა არ იცის, მაგრამ ეს დამოუკიდებლად უნდა აითვისოს და არა ლაბორატორიული კურსები მიხედვით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:24
დასრულების დრო: 16:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხარვეზების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 60 დღიანი ვადა.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა იმუშაოს ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებისას მსგავსებასთან დაკავშირებულ პროცენტულ მაჩვენებელზე, გაიზიარონ საერთაშორისო პრაქტიკა და ამ მიმართულებით შეიმუშაონ უკეთესი მიდგომა, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკასთან იქნება მეტად თანხვედრაში.
- პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად, კურიკულუმის რუკაში აისახოს: რომელი სასწავლო კურსით, კვლევითი კომპონენტით მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი და რა დონით ავითარებს პროგრამის სწავლის შედეგს (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება).
- რეკომენდებულია, მეტი სიცხადისთვის დოქტორანტის პერსონალურ გეგმაში, კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებების შესაბამისად, გაიწეროს შესრულების ვადები.
- სასწავლო კურსში „სამეცნიერო კვლევის მეთოდები მეცხოველეობაში“ რამდენიმე სემინარი ჩანაცვლდეს ლაბორატორიული მეცადინეობით.
- რეკომენდებულია, თუ უსდ გარე ხარისხის შეფასებისთვის ჩართავს მეცხოველეობის სფეროში არსებულ ბიზნეს ოპერატორებს (დამსაქმებლებს), ასევე სოფლის განვითარების სააგენტოს (ინვესტიციების მეცხოველეობაში), რაც უზრუნველყოფს საჭიროებაზე დაფუძნებულ სამცენიერო კველევებს.
- ეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასებებში ჩანდეს რა მეთოდებითა და კრიტერიუმებით ფასდება პრაქტიკული უნარები.
- ამიზნე ნიშნულების ცხრილი გაიწეროს სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების შესაბამისად და მოვიდეს სრულყოფაში

რჩევები:

- სასურველია გაიმიჯნოს და თანმიმდევრულად ლოგიკურ ჩარჩოში გაიწეროს ზოგადი და დარგობრივი სწავლის შედეგები;
- სასურველია, მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკვლევი თემტიკის საკითხები დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს.
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში „ცხოველთა და ფრინველთა მომშენებლობა“, „ცხოველთა და ფრინველთა რაციონალური კვება“ შეფასებებში ჩანდეს რა მეთოდებითა და კრიტერიუმებით ფასდება პრაქტიკული უნარები.
- სასურველია თუ უსდ-ს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი მეტად იქნება ორიენტირებული საერთაშორისო გამომცებლობებში მეცხოველეობაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საკუთარი კვლევების, მიგნებების და სამეცნიერო სიახლეების გამოქვეყნებაზე, რაც შესაზლებლობას იძლევა, რომ გაზიარებული იქნეს უახლესი მიგნებები და კვლევევები მეცხოველეობის განვითარების სფეროში;
- სასურველია, თუ უსდ მეტ ყურადღებას დაუთმობს ინტერნაციონალიზაციის საკითხს, ვინაიდან საქართველოში მეცხოველეობის დარგს დღეს ნამდვილად სჭირდება საერთაშორისო გამოცდილება და ექსპერტიზა, მითუმეტეს მეცნიერულ დონეზე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 29 იანვრის №41866 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2200, თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა - თეა მჭედლურმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2020 წელს თელავის სახელმწიფო უნივერისტეტის გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. აკრედიტაციის პროცესში გამოთქმული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების მიზნით, უსდ-მ შექმნა პროგრამის განვითარების სამუშაო ჯგუფი, უსდ-ში არსებული პროცედურების გათვალისწინებით. ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ, პროგრამის ხელმძღვანელები, ჩართული პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები უსდ-ს მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნები და დაზუსტდეს ისინი იმგვარად, რომ პირდაპირ კავშირში იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასა ან პროგრამის სახელწოდებასთან;
2. დაზუსტდეს და გადაიხედოს პროგრამის შედეგები იმგვარად, რომ სასწავლო კურსებიდან პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფდეს შედეგების მიღწევადობას;
3. შედეგები განისაზღვროს იმგვარად, რომ პირდაპირ უკავშირდებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ სპეციფიკას, ან მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
4. დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამა იმგვარად, რომ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილი იძლეოდეს კვლევითი უნარების უკეთესად გამომუშავებასა, მიზნებისა და შედეგების მიღწევის უკეთეს შესაძლებლობას;
5. გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი საგნების სილაბუსები, როგორც თემების, ისე შესაბამისი სასწავლო ლიტერატურის წყაროების მიხედვით და მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შესაბამისობაში მოვიდეს სადოქტორო სწავლების საფეხურთან, მის მიზნებსა და შედეგებთან;
6. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა უშუალოდ გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით;
7. ასევე მიზანშეწონილია განისაზღვროს სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხები და გაიწეროს ამ თანხების განაწილების მექანიზმი;
8. მიზანშეწონილია განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეპტუალური მიდგომები (ხარჯების ნაწილის დაფარვა, ერთობლივი პროგრამები, ხარჯების გაზიარება თუ სხვა რამ). ამის შესაბამისად უნდა გაიწეროს საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტი, განისაზღვროს კრიტიკული ნიშნულები/ინდიკატორები, დაწესდეს სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების პირობები;
9. გაძლიერდეს ხარისხის შეფასების მექანიზმი, განსაკუთრებით პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირებისა და უშუალოდ პროგრამასთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა მიმართა ექსპერტს, რომ პროგრამაში იყო საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია და მიმართა თხოვნით, დაეკონკრეტებინა, მაგალითად სილაბუსები რომ ნამდვილად გადის შედეგებზე, ეს რა ნაწილში გამოჩნდა? საბჭოს წევრებს ყველა სილაბუსზე წვდომა არ ქონიათ და მოუწოდა ექსპერტს, დეტალურად მიმოეხილა თუ რა ცვლილებები განიცადა კონკრეტულმა სილაბუსებმა?
ასევე მან ინტერესი გამოთქვა მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც აკრედიტაციის დროს ნაწილობრივად შეფასდა და ჰკითხა ექსპერტს, ამ მიმართულებით რა გამოსწორდა?
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები დაცულ დისერტაციებს და როგორია დაწესებულების დამოკიდებულება პლაგიატთან დაკავშირებით? რამდენი პროცენტია დასაშვები, არის თუ არა პლაგიატის ფაქტების გამოვლინებები და ა.შ.
საბჭოს წევრმა ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ როგორია უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა პროგრამაში?
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, დარგის წარმომადგენელი რამდენი აფილირებული პერსონალია ჩართული პროგრამაში?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარინა ჩავლეიშვილმა უპასუხა ირინა გველესიანის შეკითხვას კვლევით პროექტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ამაში იგულისხმება კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულება რაიმე განყენებულ თემაზე, რომელიც არ ქნება დაკავშირებული სამაგისტრო ნაშრომთან, არამედ იქნება მისგან განსხვავებული თემა, მითუმეტეს, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობს და კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, სანამ სტუდენტი უშულოდ სამაგისტრო ნაშრომზე დაიწყებს მუშაობას.
საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძე დააზუსტა, რამდენად სასურველია, სამაგისტრო დონეზე, სამაგისტრო ნაშრომის გარდა კიდევ ერთი კვლევითი კომპონენტის გათვალისწინება, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე?
ექსპერტის თქმით, ეკონომიკის მიმართულებით, კვლევითი პროექტის გაკეთება, რომელიც სამაგისტრო ნაშრომთან არ იქნება დაკავშირებული, დაეხმარება სტუდენტებს კვლევითი უნარების გაუმჯობესებაში, თუმცა ეს ექსპერტთა მხრიდან იყო რჩევა და არა სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაცია და დაწესებულების გადასაწყვეტია, გაიზიარებს თუ არა აღნიშნულ რჩევას. თუმცა, ასეთი კვლევითი პროექტი უამრავ სამაგისტრო პროგრამაშია გათვალისწინებული.
ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით, რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაცემული იყო მონიტორინგამდე, საიდანაც პირველი ხუთი რეკომენდაცია შეეხებოდა მიზნებსა და შედეგებს. რეკომენდაციების შესრულების მიზნით გადაიხედა და დაზუსტდა სწავლის მიზნები და შედეგები, ასევე გადაიხედა შესაბამისი სილაბუსები.
საბჭოს წევრი, ლევან მოსახლიშვილი დაინტერესდა, რეკომენდაციით, რომელიც შეეხებოდა სილაბუსების გადახედვას და შესაბამისობაში მოყვანას. რამდენად მოხდა ამის შესრულება?
ასევე, პერსონალთან დაკავშირებით, რა შეიცვალა მათი რაოდენობის კუთხით? არის ამის რამე დოკუმენტური მტკიცებულება? დასკვნაშიც არ წერია ინფორმაცია ამის შესახებ.
ეკა გეგეშიძემ უპასუხა, რომ მიზანში მიმართულება იყო ის, რომ ჩაიწეროს ის ფაქტი, რომ სადოქტორო ნაშრომი მზადდება, რაც შესრულდა და მიზანში გაიწერა, რომ მომზადდება სადოქტორო ნაშრომი.
ლევან მოსახლიშვილი ასევე დაინტერესდა მეორე რეკომენდაციით, სადაც წერია: დაზუსტდეს და გადაიხედოს პროგრამის შედეგები იმდაგვარად, რომ სასწავლო კურსები და პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფდეს შედეგების მიღწევას. მისი მოსაზრებით, ეს ნიშნავს, რომ პროგრამა ვერ გადიოდა შედეგებზე და დაინტერესდა, რა გასწორდა ამ მიმართულებით?

ეკა გეგეშიძემ უპასუხა, რომ კიდევ ერთხელ გადაიხედა სილაბუსები. ის, რომ შედეგები ვერ მიიღწეოდა, ძალიან მკაცრი ნათქვამია. სტანდარტი შეფასებული იყო მეტწილად, რაც ნიშნავს, რომ სრულყოფილად არ იყო შესრულებული.
ლევან მოსახლიშვილმა დააზუსტა შეკითხვა, შესრულდა თუ არა აღნიშნული და ასევე დანარჩენი რეკომენდაციები?
ეკა გეგეშიძემ უპასუხა, რომ ყველა სილაბუსში მოხდა სწავლების შედეგების, ლიტერატურის გადახედვა და ამ ლიტერატურებთან მიმართებით გასწორდა აღნიშნული საკითხები. ასევე, პროცესში ჩაერთნენ უცხოელი ექსპერტებიც, რომლებიც ინტენსიურად თანამშრომლობენ უნივესრიტეტთან. გაკეთდა ახალი მატრიცა ამ პროგრამების შესაბამისობის შესახებ. თავად დებულებაშიც გასწორდა აღნიშნული საკითხები. ასევე იყო მსჯელობა შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით მესამე ბრძანებასთან მიმართებით, რაც უფრო ნათლად გაიწერა დოქტორანტებისთვის. განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები უფრო დეტალურად და აღიწერა. რაც შეეხება პერსონალთან დაკავშირებულ საკითხები, ხარვეზი იყო დადგენილი ერთ-ერთ პროფესორთან მიმართებაში, ტექნიკური უზუსტობის გამო.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ შედეგების შესრულების საკითხი ექსპერტთა მსჯელობიდან არ ჩანს და დასკვნა სრულიად შეუსაბამოა შედეგებთან. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ რეკომენდაციების შესრულების ნაწილზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შალვა ჭკადუამ, განმარტა, რომ პროგრამის აკრედიტაციისა და საბჭოს გადაწყვეტილების მიღების დროს არ იქნა გათვალისწინებული დაწესებულების პოზიცია. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა ყველა რეკომენდაცია, კერძოდ რიგ სილაბუსებში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, დაზუსტდა მიზნები და შედეგები. ზოგან მოხდა კონკრეტული სიტყვის ცვლილება, ზოგან შედეგის.
რაც შეეხება, უცხოელების ჩართულობას, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი არის ესპანელი კოლეგა, რომელიც ძალიან აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და მოდიფიკაციაში. ამასთან ოთხი უცხოელი ექსპერტი არის ჩართული კვლევების ნაწილში. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაურკვევლობას ადგილი არ ჰქონია. პროგრამას ჰყავს 4 აფილირებული და 4 ასოცირებული პროფესორი.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე- ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ 4.4. კომპონენტში საუბარია კვლევების დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც მტკიცებულებად მოყვანილია ბიუჯეტი, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა საუბარია პროგრამის, ფაკულტეტის, თუ უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტზე და კონკრეტულად რა თანხაზეა საუბარი?
ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს, პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს პროგრამული ბიუჯეტი. აღნიშნული თანხა გათვლილია ხუთ დოქტორანტზე, რაც მოიცავს სტატიებისა და კვლევების თანხას, თუმცა დოქტორანტს ასევე შეუძლია ცენტრალური ბიუჯეტიდანაც მოითხოვოს დამატებითი თანხა კვლევის მიზნებისთვის, შესაბამისი დასაბუთების პირობებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე სილაბუსებთან მიმართებით და აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა კვლევის მეთოდების დაკონკრეტებას, შესაბამისად მოხდა საკითხების თემების მიხედვით ჩაშლა და დაზუსტება. კერძოდ, საქმე ეხებოდა ეკონომიკის კვლევის მეთოდებს, მათემატიკური სტრატეგიების გამოყენებასა და მოდელირებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:25

დასრულების დრო: 18:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 თვის თავზე აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^{6}-ე მუხლის 2^{11}-ე პუნქტის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას განუსაზღვრა ვადა აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად და მიმართა ცენტრს, დაწესებულებაში 7 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობით.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, დაფინანსდეს დოქტორანტების მიერ მაღალრეიტინგულ გამოცემებში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება
- სილაბუსებში მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ცალ-ცალკე წარმოდგენა, როგორც ეს განისაზღვრა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის No3 ბრძანებით.
- მიზანშეწონილია, დეტალურად გაიწეროს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი.
- მიზანშეწონილია, დაზუსტდეს სასწავლო კურსებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.
- მიზანშეწონილია, მოხდეს აკადემიური პერსონალის ზრდა, რაც სადოქტორო პროგრამის აკადემიურ მდგრადობას გაზრდის. ამასთან ერთად სადოქტორო პროგრამის მიზნებში აღნიშნული რეგიონალური საკითხების აქტუალიზაცია უფრო ეფექტიანი იქნება საკუთარი აკადემიური პერსონალის პირობებში.
- მიზანშეწონილია, პროგრამის ბიუჯეტში განსაზღვრული იყოს სამეცნიერო კონფერენციებში, განსაკუთრებით საზღვარგარეთ გამართულში, მონაწილეობის ხარჯები.
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ონ-ლაინ კონფერენციებში. ასევე უნდა მოხდეს დოქტორანტების, თუნდაც ნაწილობრივი დაფინანსება საერთაშორისო ონ-ლაინ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად.
- ასევე მიზანშეწონილია, განისაზღვროს სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხები და გაიწროს ამ თანხების განაწილების მექანიზმი.
- მიზანშეწონილია, განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეპტუალური მიდგომები (ხარჯების ნაწილის დაფარვა, ერთობლივი პროგრამები,ხარჯების გაზიარება

თუ სხვა რამ). ამის შესაბამისად, უნდა გაიწეროს საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტი, განისაზღვროს კრიტიკული ნიშნულები/ინდიკატორები, დაწესდეს სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების პირობები.

რჩევები:

- სასურველია, მოხდეს მიზნის მოდიფიცირება იმგვარად, რომ მასში უფრო მეტად გამოჩნდეს ინტრნეციონალიზაციის ელემენტები და ამავდრულად, არ იყოს აქცენტი გაკეთებული ნაშრომის შექმნაზე.
- სასურველია, უსდ-მ მოახდინოს სწავლის შედეგების შეფასების კვლევა და დოკუმენტირება.
- სასურველია, უსდ-მ განახორციელოს კვლევითი პროექტები და უზრუნველყოს სტუდენტების ჩართვა.
- მიზანშეწონილია, საქართველოს სხვა უსდ-თან შეთანხმებების ხელმოწერა, რაც გაამარტივებს და გააფართოვებს მონაცემთა ბაზებზე წვდომას.
- გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში, მისი სამომავლო სრულყოფის უზრუნველსაყოფად (რადგან არ დასტურდება დოკუმენტაციით).

4. მეოთხე საკითხი : სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 28 ივნისის №24 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2200, თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა - თეა მჭედლურმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის " ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამას 28.06.2016 #24 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. შესაბამისად, გახდა საჭირო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მხოლოდ 2.2 სტანდარტია მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო დანარჩენი სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. პროგრამა ზოგადად 240 კრედიტიანია: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 120 კრედიტი (ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 70 კრედიტი, პრაქტიკა 10 კრედიტი; ძირითად სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 40 კრედიტი) თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტი - 35 კრედიტი. თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 25 კრედიტი დამატებით პროგრამა (Minor) 60 კრედიტი ან თავისუფალი კრედიტები – 30 კრედიტი და 30 კრედიტი (გაიძლიეროს სპეციალობის კომპეტენციები სპეციალობის არჩევითი საგნებით). მისივე თქმით, პროგრამა ადეკვატურად არის გააზრებული, არგად არის შედგენილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა თუ სად ტარდება პრაქტიკა და აქვს თუ არა დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული იმ ორგანიზაციებთან, რომელთანაც თანამშრომლობს ამ მიმართულებით?
ის ასევე დაინტერესდა, კვლევით პროექტთან დაკავშირებული რჩევით და სთხოვა ექსპერტს, დაეზუსტებინა, რა იგულისხმება კვლევით პროექტში?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა პრაქტიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პრაქტიკა გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. ექსპერტებმა ვიზიტის დროს ნახეს პრაქტიკის ობიექტები. უნივერსიტეტს ასევე აქვს ბევრი მემორანდუმი, როგორც ადგილობრივი თვთმართველობის ორგანოებთან, ასევე ღვინის ქარხნებთან. ამასთან, უნივერსიტეტს აქვს საკამოდ მაღალი კვლევითი ლაბორატორიები. შესაბამისად პრაქტიკის კომპონენტი ტარდება როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის გარეთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს საკმაოდ კარგ თანამშრომლობას სთავაზობს დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, კერძოდ როგორიცაა საჯარო სექტორი, რაც მოიცავს მერიასა და საკრებულოს, ღვინის ქარხნებს, საბანკო სფეროსა და ბაზარს. პრაქტიკა კონცეპტუალურად გულისხმობს საწარმოო ველზე გაშვებას, საწარმოო პრაქტიკა გულისხმობს პრაქტიკის გავლას მხოლოდ უნივერსიტეტის გარეთ დაწესებულებებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო: 18:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია და რჩევები:

რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.

რჩევები:

- სასურველია, არჩევითი სასწავლო კურსი "საბაკალავრო ნაშრომი" გახდეს სავალდებულო კურსი.
- სასურველია, თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებას.

5. მეხუთე საკითხი : სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 28 ივნისის №25 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2200, თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა - თეა მჭედლურმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის " ეკონომიკის" სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2016 წელს, ახლა კი უნივერსიტეტმა წარმოადგინა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" მიმართებით პროგრამის მოდიფიცირებული ვარიანტი. სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია და 2 აკადემიური წლის, ანუ 4 სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს. პროგრამაში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტის მოცულობით. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუცა ექსპერტთა ჯგუფს ქონდა რჩევა, რომ კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სასურველია, პროგრამას დაემატოს კვლევითი პროექტი,

ანუ გაჩნდეს ასეთი საგანი პროგრამაში. ასევე, სასურველია, უსდ-მ მოახდინოს აკადემიური პერსონალის გადახედვა და რაოდენობის გაზრდა პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში, თუმცა მოცემული ვითარებით ამის საჭიროება არ არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევა კვლევითი პროექტის დამატებასთან დაკავშირებით და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ თუ რა იგულისხმებოდა კვლევითი პროექტში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა კვლევით პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული გულისხმობს განყენებულ კვლევით ნაშრომს, რომელიც რა თქმა უნდა არ უკავშირდება საბოლოო სამაგისტრო ნაშრომს.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა თუ რამდენად სასურველია სამაგისტრო დონეზე, თავად სამაგისტრო ნაშრომის გარდა სხვა კვლევითი პროექტის არსებობა.
ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული პრაქტიკა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამებში გვხვდება და მისი მიზანია კვლევითი უნარების განვითარება. ამასთან საკითხი განსაზღვრულია რჩევის სახით, რაც დაწესებულებას შეუძლია როგორც გაიზიაროს, ისე არ გაიზიაროს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო: 18:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

რჩევები:

- კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კვლევითი პროექტი.
- სასურველია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამაში აკადემიური პერსონალის გადახედვა და გაზრდა, პროგრამაში სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 18:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით